

გაზეთის ფასი

მაგნიტის ტილისში	მაგნიტის ტილისში
და გარეშე ადგილებში:	მაგნიტის ტილისში:
მთლიან ფასად — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის ფასად — 4 —	— — — 3 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
კლდე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათით.	

დროება



საქართველოს მთავრობის დასახელებული

თქონისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მედიკ-
შეიღის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბუბუთოვის სახლში
თქონისის გარეშე მცხოვრებთათვის აღესი: **Въ Тбились. Въ**
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება**
სხვა და სხვა ენებზედ. შპის განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-
ბრების ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიბერალური გაზეთი.

შინაგანი ცნობები.— რუსეთის ამბები.—
„დროების“ პარტისპონდენტი ქუთაისიდან.—
პოლიტიკა: ანგლია.— შინაგანი.— ისპანია.— იტა-
ლია.— შამაგია.— ვიენა.— რედაქტორთან.—
საბიბლიოთეკა.— ნაწილი.— სხვა და სხვა ამბები.—
განცხადებები.—

შინაგანი ცნობები.

ზოგიერთი კახეთის მემამულეებისაგან გავი-
გონეთ, რომ ღვინის მოსავალი წელს საზო-
გადოთ შარშანდელზე ნაკლები არ არის. მრ-
თმა იმათაგანმა გეითხრა, რომ შარშან-
ხუთი ურმის მეტი არ მომსვლია და წელს
კი ათი ურმი მომივიდა და; სეტყვას რომ
არ გავუტყებია, ორი ამდონის იმედი მქონ-
დაა.— მაშა სადამე, იმედია, რომ ღვინო მე-
ორე მოსავლამდინ ეხლანდელზე მეტს ფასს
არ დაიჭრს.—

სხვა ამბები შეეიტყეთ ძახეთიდან, რომ
პურის მოსავალი ცუდია, როგორც აღზან
გამოღმა, აგრეთვე გაღმა მხარეშიც. სიღნა-
ღის უფლები პური ფასობს მანეთათა და, რა-
დგან არც იპოება, სხვა ადგილებიდან მიჰქვთ.
შინის მოსავალი ზოგან ნაკლები მოვიდა
ვაზების დასეტყვისა გამო. მთიულეთი კი (სიღნა-
ღის უფლები) უფრო რიგანია. სიღნაღის უფ-
ღის სოფლებში: ტიბანში, მირზანში, ჭუ-
განში და მზანში კი, როგორც ამბობენ,
ღვინო ძალიან კარგათ და კარგიც მოსულა,
ასე რომ ქვეყნებიც ვერ უშოვიათ ჩასახმე-
ლათ.— საფრანგულ წრეებს ძალიან კარგი
ყოფილა და ამისგანა უეჭველია წითელი
ღვინო ბევრი შემოვა ქალაქში.— საპალნე
კარგი ღვინისა ისყიდება სიღნაღში ნ
თუმნიდან 10-მდინ.—

ბურთიდან იწერებინ, რომ წელს ნამუშა-
ვარი იქ კარგათ მოსულა; ღვინის მოსავალ-
საც მცხოვრებლები არ ემდურებიან, მაგრამ,
როგორც ამბობენ, სოფლებში და თითონ
მზურეთშიც ციება არის განშორებული.—

„სამი წელიწადია მას აქეთ, ამბობენ „პეტერ-
ბურღის უწყებები“, რაც გაზეთებში იყო
განცხადება „საქავისაში ადგილობრივი კამპანისა“
(Компанія Кавказской промышленности) შერ-
დგენაზე; მას შემდეგ ამ საქმეზე არაფერი
არ იხმის, როგორც დაბეჭდილი განცხადები-
დან სჩანს, ხაზინა დაპირებია კამპანის ექსპის
ათასი დესიატინის (ერთს მილიონ დლიურზე
მეტის) მიცემას მუგონში და იმ ადგილას,
საც არაქსი მტკვარს ჩაერთვის (მაქოს გუბე-
რნიაში). ამ ადგილებს რომ წყალი არ აკლ-
დესო, გეწერენ ჩვენ საქავისიდან, მშენებელი
და მოსავლიანი ადგილები იქნებიანო; ამიტომ
რომ აქ, ძალიან კარგათ მოვა პური, ამერიკის
ბამბა, თამბაქო, ენდრო, თუთა და სხვა ისე-
თი მცენარეები, რომლებიც სიბოძს თხოულა-
ბენ. წყალი რომ გაიყვანონ, უეჭველია, ათასო-
ბით და ათი ათასობით დასახლებიან აქ და
ყველა თავისუფლათ იზოვის საზროლს. მ.
პორონკოვს უნდოდა არხების გაყვანა, მაგ-
რამ უფულოობის გამო ეს საქმე ვერ მოვი-
და სისრულეში, როგორც შეეიტყეთ, კამპა-
ნია დაუმტკიცებიათ, მაგრამ, ამბობენ, საფი-

ნანსო სამინისტროს უჭირს კონცესიის ვადის
გაგრძელება, რადგან კამპანის ის გაუშვია.
კამპანია არა სთხოვს მმართველობას არა ეი-
თარ გარანტიას და რადგანაც ხაზინაში თავის
დღეში არ დარჩება მომეტებული მილიონები,
ამის გამო ეს მშენებელი ადგილები უნდა და-
რჩენ დაუსახლებლათ და ავაზაკების ბუდეთ,
სანამ კერძო პირები არ მოჰკიდებენ ხელს
ამ საქმესა.—

მღისა ეტოპოლის უფლები
(ბუმბურში) თითხმეტს მკათათეს სიმბირის
ქირს გაჩენილა; პირვლად გამოჩენილა სხე-
ნება და ჯორებსა მდებარეის სპილენძის და-
სადუღებელ ქარხანაში, შემდეგ გადასდებია
ხუთას მუშას, რომელთაც შუშა და ნახშირი
დაჰქონდათ ზემოხსენებულ ქარხანაში. იმის-
თანა ნიშანი არა არის რა, რომ რამე მოჰყო-
ლოდეს ეს ქირი გარეშე ადგილებიდან; უფ-
რო-საფიქრებელია; რომ თავისით გაჩენილი-
ყოს, რადგანაც ამ წელს საარაკო სიციხე და
გოლიანი ამინდები იდგა. მაგრამ ეს ქირის
გაჩენა უფრო საქონლის მოუფლელობის
ბრალია: ჯორებსა და ცხენებს ზომასზე მეტად
ამუშავებდნ და სარჩო კი არა ჰქონდათ რა.
ზხესა და თივის მეტს არას აქმედენ. მქიმის
მოსვლამდის ორმოცდა ათი სული ცხენი და
ჯორი მოკლდა ასე, რომ მუშები შიშის გამო
ახლო-მახლოს სოფლებში დაიფანტნ და
თან წაიღეს ეს ქირი. აქაც პირუტყვებს გა-
მოჩნდათ. მდებარეის ქარხანაში მუშები არ
უფრთხილდებოდნენ საქონელს: მკვდარს
ცხენებსა და ჯორებს ტყავებს ამოზდნ და
მიჰქონდათ; ამისგანა ქირი მუშებსაც გადაე-
დეთ; სანამდის პოლიცია და ექიმები რიგანს
განკარგულბას მოახდენდნ, თორმეტი მუ-
შა გზნა აეთ ამ ქირითა და ერთი იმა-
განი კიდევაც მოკლდა. ამ ყვამთ მდებარეის ქა-
რხანაში ქირი მოიხპო; ექიმების მეცადინეო-
ბით სოფლებშიაც განქარდა. მცხოვრებლე-
ბშიაც ვინც იყვნენ აეთ, იმათ გარდა, სხვას
ალარაგის გამოჩენილა ქირი.

„ბირჟის უწყებების“ სიტყვით პოლიაკო-
ვის ინჟენერებმა გაათავეს ღვინის გამოკლე-
ვა ქავისის რკინის გზებისა; სხვათა შორის
იმათ გამოკლევის ის ღვინა, რომელიც უნ-
და გაიდეს როსტოვიდან ღონზე, სტავო-
პოლზე და აქედან პიატიგორსკში. იმავე გა-
ზეთში იწერებინ, რომ არის კიდევ მეორე
ღვინის პროექტი: როსტოვიდან ღონზე—
სტავოპოლში, შემდეგ პიატიგორსკზე—მლა-
დიაკავსამდე; პეტროვსკს წევა ერთი იმის
შტა. ამბობენ, რომ ამ ნაირს გზის მიმართუ-
ლობას თანაუგრძობას აგრეთვე ქავისის ნა-
მესტნიკთა.—

რუსეთის ამბები.

იუსტიციის მინისტრმა მოსთხოვა ყველა
ახალ სამოსამართლო დაწესებულებათა, რომ
წარუდგინონ მას თავიანთი შენიშვნები ახლა-
ნდელს სამოსამართლო წესდებულებებზე (су-
дебные уставы), რომელიცა გამოიცა 1864
წელს 20 ნოემბერს; აგრეთვე სთხოვა, რომ
წესდებულებათა აჩვენონ, რა და რა დაწესება
არ გამოდგა საქმეში, ან როგორ და სახელ-
ობრივ რაში უნდა მოხდეს ცვლილება.—

რამდენიმე დღეა მას შემდეგ, ამბობენ „პეტ-
უწყებები“, რაც ჩვენ გავიგეთ, რომ ბეჭდ-
ვის კანონებში შემეიწროებელი ცვლილება-
ნი უნდა მოახდინონო, ჩვენ არ გეგვროდა
ეს ხმები, ამიტომ რომ ჩვენს ჟურნალისტი-
კას ძალიან ფრთხილათ უყავია თავი; ახლაც
დარწმუნებული ვართ, რომ ეს ხმები გადი-
დებული არიან; მაგრამ გაზეთში ეძლევეთ
იმათ ადგილს მარტო იმის გამო, რომ ამ-
ზედვე სწერენ „მოსკოვის უწყებებში“, რომ-
მელიც აი რას ამბობს: „ბეჭდვა, ე. ი. საე-
როთ ხმის ამოღება დიდი ხანი არ არის გან-
თავისუფლებულია ჩვენში გამაფრთხილებელი
ზენზურისაგან (предварительная цензура); მა-
გრამ ვერ იტყვის კაცი, რომ ჩვენი ბეჭდვის
მდგომარეობა იყოს სრულებით დაკული. ის-
მის, რომ თითონ ის კანონი, რომლის ძალი-
თაც განთავისუფლდა ბეჭდვა, ვერ არის მკეი-
დრათ, რომ ისევე უნდათ ბეჭდვა ცენზურას
დაუმორჩილონო.“— თითონ ცენზურაზე აი
რას ამბობენ „მოსკოვის უწყებები“: „მს
საქმე გადაწყვეტილია ყოველ განათლებულ
ხალხში: ცენზურა ვერ აცდენს ვერც ერთს
ბოროტებას, მხოლოდ პირბადეს ჩამოაფარებს
იმას და უფრო გესლიანათ ჰხდის; მაგრამ უე-
ჭველია, რომ ცენზურა ავიწროებს იმ სიცო-
ცხლეს, რომლის დაცვა იმას აქვს მიზნობი-
ლი, რომ ის ჰქლავს იმ ინტერესებს, რომლის
დაფარვას ენებისა და ზიანისაგან ის არ კის-
რულობს.“—

პარშავაში აპირებენ უსახლ-კარო ღარიბე-
ბისთვის იმისთანა ღამის სათევი სახლის აშე-
ნებას, როგორც ბერლინშია.—

რუსული გაზეთი სახელათ „უწყება“ (Весте)
გვცნობებს, რომ ისმისო ვითამც პეტერბურ-
ღში დგება ისეთი ამხანაგობა, რომელსაც
ჰსურს იყიდოს ხოლმე მკვდარი საქონლის
ნაშთი, მაგალითად რქები, ჩლიქები, ხორცე-
ულობა, რომელიც არ გასაღდება, ტყავი და
სხვა ამ გვარი დანაშთენი, რომელიც ან სულ
უხმარია და ან თითქმის უფასოთ ვადის. ამხა-
ნაგობა შეამუშავებს ამ მასალას სხვა და
სხვა ფრათ და ისევე გაჰყიდის.

ნოვოროსისიკიდან იწერებინ „ნიკოლაე-
ვის მოამბეში“, 8 სექტემბერს: ჰუბანის მზ-
რაში ისე კარგი მოსავალია პურისა, რომ
ანაპაში მიიტანეს იქიდან გასასყიდლოთ მათასი
ჩეტვერტი ხორბალი და თანდათან კდევ
ზიდავენ, ასე რომ წელს იქ 30 ათასი ჩეტ-
ვერტი მანც მიიზიდება, თუ ხეირიანი ტა-
როსი იქნა. მაგრამ მყიდველები, ანაპისა და
ნოვოროსისიკის ვაჭრების გარდა, არაფერი
არ არის, ასე რომ პური იაფათ ვადის; ჩეტ-
ვერტი (სამკოდ ნახევრამდინ) პირველში 8
მანეთათ და 50 კაპიკათ ვადიოდა და ახლა
7 მან. და 50 კაპ.—

„დროების“ კორექტორული ქუთაისიდან.

სექტემბერი 1869 წ. ამ სექტემბრის პირ-
ველს რიცხვებში იმერეთის სამღვდლოებს
ყრილობა ჰქონდა ქუთაისში; ეს იყო მეორე
კრება, პირველი ვასრულის წლის პირილში
იყო. შრილობა იყო ადგილობრივი სასული-

ღიერო სასწავლებლის გაუმჯობესობის თა-
ბაზე, ახალი უსტავის მოთხოვნილებით, რომ-
მელიც გამოვიდა 1867 წელში. ამ უსტავის
ძალით სრული ცვლილება და გაუმჯობესო-
ბა უნდა მოხდეს რუსეთის იმპერიის სასული-
ერო სემინარიების და სასწავლებლების შინა-
განს და გარეგანს მდგომარეობაში; მაგრამ
ამასთანავე უსტავი ითხოვს, რომ სასულიერო
ოთხკლასიანი სასწავლებლები სამღვდ-
ლოებამ უნდა არჩინონ თავიანთი ადგი-
ლობრივი საშუალებით. სასწავლებლების და
სემინარიების გამოგობაში უსტავი სამღვდ-
ლოებსა მონაწილეობის უფლებას აძლევს.
მოსალაპარაკებლად სასწავლებლების საქრო-
ებაზე და იმაზე, როგორ და რა წყაროები და
საშუალოებაები აღმოაჩინონ ამ საქროებაზე-
ბის დასაქმყოფილებლად— უსტავით დადებუ-
ლია, რომ ამოჩეულს სამღვდლოებისაგან
დებუტატებს— ათი ეკლესიიდან ერთს, — ორა-
ჯერ თუ არა ერთჯერ მაინც წელიწადში ყრი-
ლობა უნდა ჰქონდესთ იმ ქალაქში, სადაც
სასწავლებელია. ამ ყრილობაშივე არჩევიან
დებუტატებთან ორი წევრი, სამღვდლოებ-
ბის მხრით, სასწავლებლის სამმართველოსა-
თვის. ახალი წესი რუსეთის სამღვდლოების-
თვის პირველად სამძიმო გამოჩნდა; მეტადრე
იმ ეპარქიებში, სადაც, ოთხი და ხუთი სასწავ-
ლებლების გარდა, რომელთაგან თითონს შე-
ნახეა წელიწადში 12—15 ათას მანეთს ით-
ხოვს, სემინარიისთვისაც შემწეობა უნდა მიე-
ცათ; მაგრამ საქმე ასე იყო: ან უნდა დახ-
შულიყო სასწავლებლები, რაც სამღვდლო-
ებისთვის მეტად საზიანო იქნებოდა, ან არა
და სამღვდლოებსა უთუოდ უნდა აღმოეჩი-
ნა საშუალება მათ სარჩოდ. რასაკვირველია,
უკანასკნელი არჩიეს, საქმეს ხელი კარგა მო-
ჰქიდეს და მარჯვეთაც წაიყვანეს; ასე რომ
ახლა ზოგიერთს რუსეთის ეპარქიებში სამღ-
დლოებსა 40—60 ათას მანეთამდე შემოაქვს
წელიწადში სასწავლებლების შესანახად.

პუტილებელმა საქროებამ მოითხოვა, რომ,
რუსეთის სამღვდლოების მსგავსად, იმერე-
თის სამღვდლოებსაც ეზრუნა თავის შვი-
ლების გამოზრდაზე; საზრუნავი ბევრი ჰქონ-
დათ და აქვთ. აი რა მდგომარეობაში დახ-
და ახალს უსტავს სასულიერო განათლების
საქმე იმერეთში: იმერეთში და საზოგადოდ
დასავლეთის საქართველოში სემინარია არ
არის; ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლე-
ბელიც მხოლოდ ერთია იმერეთში; სამეგრე-
ლოში და ზურიაში ისიც არ არის. ამის გა-
მო იმერეთის სამღვდლოების შეილები თა-
ვის განათლებას ამ სასწავლებლით ათავებენ;
იმათგან იშვიათნი მილიან სწავლის გასაგრძო-
ბად თბილისის სემინარიაში, ან შუთაისის გი-
მნაზიაში; სილარიბეს გარდა თბილისში სწვე-
ლას უშლის ისა, რომ იმერლები იქაურს ჰპ-
ვას და სხვა ბუწებითი პირობებს ვერ იტა-
ნენ, მუდამ ავად ხდებიან, ზოგნი კიდევაც
კედებიან. რომ საკუთარი სემინარია იმერე-
თისთვის და საზოგადოდ დასავლეთის საქარ-
თველოსთვის დიდად საჭირო იყო, ამას ყვე-
ლა გრძობდა; რიგინად დაწყობილი სემი-
ნარია მხარეს დიდს სარგებლობას მისცემდა;
მაგრამ სად იყო საშუალება სემინარიის დასა-
წესებლად და სარჩენად. იმერეთის საეკლე-
სიო ხაზინა სასწავლებელსაც გაჭირვებით არ-

ჩინდა და არჩენს; მისი წლიური შემოსავალი ფული ისე ცოტაა, რომ ის რომ მართლ სასწავლებელზე იყოს დადებული, არც კი კმა-რა ახალი შტატით. იშვიათს წელიწადში შე-მოუვიდოდა საეკლესიო ხაზინას 12-13 ათა-სი მანეთი, ხშირად შემოსავალი 6 ათასზე ზევით არ აღიარდა. როგორ შეუძლია ასე მცირე შემოსავალს დააკმაყოფილოს მრთე-ლი ეპარქიის სხვა და სხვა საქმეები: მლაპარაკობ რა აქაური საეკლესიო ხაზინის სიღარიბეზე, მე მაგონდება, რა გასაოცრად უსაფუძვლო აზრი აქვს ბევრს საზოგადოება-ში ეკლესიების და მონასტრების შემოსა-ვალზე, მათს სიმდიდრეზე; მართალია ძველად იმერეთში ეკლესიას ღირსი ადგილ-მამუ-ლები ჰქონდა, მაგრამ დღეს, მაგონი, მისი მე-ხუთედით აღარ აქვს; დანარჩენი მოუტაცე-ბიათ და მიუთვისებიათ სხვა და სხვა გარეშე პირებს; ბევრნი, რამდენათაც შეუძლიათ, დღე-საც ცდილობენ, რომ ისარგებლონ ხნობით, თუ რაითაც იქნება, და მიითვისონ ეკლესიის საკუთრება; მაგრამ, რასაკვირველია, ახლა ეს ადგილი აღარ არის. რათ უნდა ეკლესიებს, ხატებს ამდენი ადგილ-მამულები, ისეც მი-დრები არიან; ჩვენთვის უფრო საჭირო არ არის — რეგულარულ უსაფუძვლოდ ჰკითხულო-ბენ ამ გვარი პირები და ამით აჩვენებენ, რომ იმათ არ იციან არც ადგილობრივი ეკლესი-ის მდგომარეობა და არც მისი ადგილ-მამუ-ლების და მათი შემოსავლის დანიშნულება; იმათ არ ჰგონიათ, თუ საეკლესიო ადგილ მამულების შემოსავალი სულ ეკლესიებზე და მონასტრებზე არ იხარჯება. მე არა ვარ სასულიერო მოსამსახურე პირი ეკლესიისა, მე ვარ გარეშე კაცი, მაგრამ მაქვს ფრიად საკმაო და ნამდვილი ცნობები და ვსთვლი საჭიროდ ესთქვა, რომ ამისთანა სჯა და ლა-პარაკი მეთად რეგულარული და უსაფუძვლოა. მე ესთქვი, რა შემოსავალი აქვს აქაურს სა-ეკლესიო ხაზინას ყველა საეკლესიო გლე-ხებისგან და ადგილ-მამულებიდან; ამ შემო-სავლიდან ძლიერ ცოტა მიდის მონასტრებ-ზე, ეკლესიებზე კი კაპიცი არა, გარდა სა-კათედრო სობოროსა. რამდენიმე წლის წი-ნით იმერეთის ეპისკოპოსის, ყოვლადსამ-ღვდელო მარტიანის მცადონებობით მთავრო-ბამ დანიშნა კამისია ასაწერად საეკლესიო ადგილ-მამულებისა და ხელახლა შესაწერად გარდასახდისა. მოკლე ხანში ეს ადგილ-მა-მულები უნდა გადაეცეს სამუდამოდ სამოქა-ლაქო უწყებაში, იმ პირობით, რომ ადგილ მამულების სამაგიეროდ ეკლესიას უნდა ეძ-ლიოს იმდენი ფული, რაც შედგა ახალი შე-წერით და რომელიც, როგორც გავიგონა, თითქმის ორ წილ-ნახევრათ მეტი იქნება ახ-ლანდელს საეკლესიო შემოსავალზე. ლმე-რთმა ჰქნას, რომ ეს ჩქარა შესრულდეს; ეს მით უმეტეს სასიამოვნო იქნება, რომ, რო-გორც გავიგონა, ყოვლადსამღვდელოს მარტიანის, რომელსაც დიდად სურს სემინა-რიის დაწესება იმერეთში, განზრახვა აქვს, რომ უმეტესი ნაწილი ამ ფულებისა სემინარიას მო-წოდდეს. აქედან სჩანს, რა კარგი იქნებოდა, რომ აქაური ეკლესიის მდიდარი ყოფილიყო, როდესაც მის სიმდიდრეს ასე დიდი დანიშ-ნულება ექნებოდა; აქედან ადვილი გასაგე-ბია, რა უფრო სასურველი და საზოგადო სა-სარგებლო უნდა იყოს: ის რომ ეკლესიის ხელში იყოს ბევრი ადგილ-მამულები, თუ კერძო პირების ხელში, რომელთაც მიუთვი-სებიათ, ან ახლა ცდილობენ მიითვისონ ეკ-ლესიის საკუთრება. სემინარიის დაწესება იმე-რეთში მით უფრო სასარგებლო იქნება მრ-თელი აქაური ხალხისათვის, რომ, ახალი უს-ტავით, სემინარია არის საზოგადო სასწავლე-ბელი, ყველა წოდებისათვის დაწესებული, და არა მართლ სამღვდელთმისათვის, როგორც აქამომდე იყო რუსეთში. — სასწავლებლების გახსნა და შენახვა, ხალხის გან-თლება — შეი-დებოდა განა ამაზე დიდი დანიშნულების მი-

ცემა ადგილ-მამულებისა და ფულებისათვის! ახლა დიდი სამღვდელთმის ყრილობა-ზედ, როგორც ზევით ვსთქვი, პირველი ყრი-ლობა სამღვდელთმის 1868 წელს აპრილში ჰქონდა. სამღვდელთმის დეპუტატები იყე-ნენ ორმოცამდის. პრეზიუმში მოხარდა იმე-რეთის ყოველ სამღვდლო, რომელმაც გა-წუმარტა დეპუტატებს ახალი უსტავის მოთ-ხოვნობა და ვალდებულება და უფლება, რომელთაც უსტავი სამღვდელთმის აძლევს, უთხრა — როგორ წაიყვანა რუსეთში იქაურმა სამღვდელთმამ ეს საქმე, მოკლედ უჩვენა — რა უნდა ჰქნას, როგორ უნდა იქონიონ და აღ-მოაჩინონ საშუალებანი სასწავლებლისათვის; მე რე უბრძანა, რომ თავ მჯდომარე ამოი-ჩინონ და საქმეზე მოლაპარაკება დაიწყონ, და კრებიდან წავიდა. დეპუტატებმა კენჭი ჰყა-რეს და ხმის უმრავლესობით თავ მჯდომარე-რედ კათედრის მღვდელი, ახლა საკათედრო დეკანოზი, ივანე მამრეკელი ამოიჩინეს; აგრეთვე ამოიჩინეს ორი წერი სასწავლებ-ლის სამმართველოსათვის, ერთათ იგივე ი. მამრეკელი, მეორედ მ. ს. მიქიევი. ორ-ღვდეს, თუ სამს გავრძელოდა ყრილობა და ბა-ასი. ბევრი ილაპარაკეს იმაზე, რა საძნელოა სამღვდელთმისთვის სასწავლებლისთვის შემ-წერების მიცემა, როდესაც მრევლი დადებულს მთავრობისაგან დრამას არ იძლევიან, სამღ-ვდელთმის ძლიერ ცოტა შემოსავალი აქვს და შევიწროებულს მდგომარეობაში არისო. ბოლოს ასე გადაწყვიტეს: თითო ეკლესიის კრებულმა შემოიტანოს ყოველ წლობით სა-სწავლებლის სასარგებლოდ 5 მან. და 3 მან. და, რადგანაც იმერეთში 378 ეკლესია არის, ეს შეადგენს ორი ათას მანეთზე მეტს; ამას გარდა სემინარიის სამღვდელთმამაც დასდეს წელიწადში 5 მანეთის შემოტანა, რამოდენ-იმე-მონასტრებმა, ასე რომ სულ შედგა ორი ათას ას მანეთზე მეტი. რა საკვირველია ვე-დიდი ფული არ არის; მაგრამ პირველ გზო-ბისად ესეც კარგი იყო, და უნდა ესთქვა, რომ იმერეთის სამღვდელთმის მოქმედება ამ შემთხვევაში საქმიანია. ამ შემოწერულმა ფულ-მა სასწავლებელს შეძლება მისცა მოსამზად-ბელი კლასის გახსნისა, პირველი კლასის ორად გაყოფისა და ეგრეთვე რამდენათვე ჯამაგე-რის მომატებისა მასწავლებლებისათვის.

წოდებელი კრება პირველ და მეორე სკადემბერს იყო. როგორც წარსულს წელში, ყრილობა ჰქონდათ სასულიერო სასწავლე-ბლის სახლში და კრების თავმჯდომარეთაც ისევ დეკანოზი მამრეკელი ამოიჩინეს. პრე-ზიუმ მიეცა ანგარიში სამღვდელთმისგან შე-მოტანილს წარსულს წელში ფულებზე და ცნობა იმ საგნებზე, რაზედაც უნდა ჰქონო-დათ მსჯელობა. მეორე კლასი და მოსამზა-დებელი, რომელთაგან უკანასკნელში მოსწა-ვლელების რიცხვი 160 მდის ავიდა, ორ ორად უნდა გაყოფილიყო და ამისათვის სასწავლე-ბელს ორი ახალი მასწავლებელი უნდა მო-მართო; ქართული საეკლესიო წიგნებისა, ტიბიკონისა და გლობისთვის საკუთარი მა-სწავლებელი უნდა დანიშნულიყო. ამას გა-რდა ერთი წლის უკან მესამე კლასიც ორად უნდა გაიყოს და სასწავლებლის სრული ცე-ლილება უნდა მოხდეს ახალი უსტავის თან-ხმად, რაიცა დიდ ძალს ფულს მოითხოვს, — ყველა ეს დეპუტატებს სახეში უნდა მიეღოთ მსჯელობის დროს. ყოვლად სამღვდლომ მისცა დეპუტატებს ნება, რომლის ძალით, თუ მსურდათ, მათ შეეძლოთ ჰქონდათ იმავე კრებაში მსჯელობა და მოლაპარაკება სხვა საგნებზედაც, სამღვდელთმის საქმეების და მდგომარეობის შესახებ. დეპუტატებმა ყველა-ზე პირველათ ამ ნება დართვიან მსარგებლეს, და მინამ სასწავლებლის შესახებ ილაპარაკე-ბდნენ, აი რა გამოაცხადეს: 1) ეკლესიებზე რომ საეკლესიო საბუთები იწერება: მეტრიკა, აღსარებითი სია და სხვა რომლებსაც შედ-გენა ეკლესიის კრებულის ვალია, ამავს

თვიდან ბოლომდე ადგენონ და ამისა-თვის კრებულს ფულს ახდენინებნო. 2) დე-პუტატებმა ითხოვეს, რომ ბოლომდე ამაზე ხელი აღიონ და თავთავისი ეკლესიის საბუთები მღვდლებმა შეადგინონ და პასუ-ხის მგებელნიც ისინი იყვნენო. 3) ბოლო-ჩინების არჩენის უფლება სამღვდელთმის მიეცესო. 4) რუსეთის ეპარქიების მსგავსად იმერეთის ეპარქიაშიც კონსისტორია გაიხსნა-სო და კონსისტორიის წევრების ამორჩევა სამღვდელთმის საქმიანობა. 4) საქართველო იმერეთის სინოდის კანტორაში რომ იმერე-თის ეპარქიის მხრით წყარია დაწესებული — იმისი ამორჩევის უფლება იმერეთის სამღვ-დელთმის მიეცეს. ეს განცხადება მოახსენეს ყოველად სამღვდლო მარტიანს. პირველს მოთხოვნებიდან დეპუტატებმა სრული და-კმაყოფილება მიიღეს: ბოლომდე ხელი მიიღეს საეკლესიო საბუთების შედგენაზე. კონსისტორიის დაწესების და კანტორის წევრის დანიშნის შესახებ ყოველად-სამღვდლომ გამოუტყადა, რომ ეს უმაღლესი მთავრობის საქმიანობა. მეორე თხოვნაზე, ე. ი. ბოლომდე-ბის ამორჩევის შესახებ, ყოველად სამღვდლომ გამოუტყადა დეპუტატებს, რომ ის თანამდრო-ბელი ამისთანა წესისა, მაგრამ თან დასძინა, რა სიძნელე მოსდევს ამ წესის შემოღებას იმე-რეთში. საქმე აი რაშია; ბოლომდეზე ძველს ისეთი ვალდებულება, რომლისაც აღსასრულე-ბლად მართლ კარგი წინაგობით მხარე არ კმა-რა, არამედ აუცილებლად საჭიროა რამოდენ-იმე ცოდნა და გამოცდილება წერაში და საქმის წარმოებაში. სემინარიაში ნასწავლნი და საზოგადოდ იმისთანა მღვდლები, რომე-ლთაც შეუძლიან ბოლომდე თანამდებო-ბის აღსრულება. იმერეთში ბევრი არ არის, რასაკვირველია სამღვდლოებას შეუძლია აი-ჩინოს წინაგობით კარგი, პათოსანი კაცები, მაგრამ, თუ ამ კაცებს არ ექნებათ იმდენათ გავება და გამოცდილება, რაც საჭიროა ბო-ლომდეობისათვის, რა ჰქნას მაშინ ეპარქიის მთავრობამ? ნებით თუ უნებლიეთ სამღვ-დლოება იძულებულ იქნება, რომ ამოიჩინოს უმეტესად ის პირები, რომლებსაც მთავრობაც ნიშნავდა ბოლომდეზედაც. ამ სახით ეს საქმე ადვილი მოსახერხებელი და წასაყვანი არ არის, თუმცა თავის თავად ეს წესი კაცია; მაგრამ, როგორც ჩვენ გავიგონეთ, ყოვლადსამღვ-დლო ამორჩევა ბოლომდეობის ამორჩევის უფ-ლების მიცემას სამღვდლოებისათვის, მსთელი საჭიროდ ესთქვა აქ, რომ ბოლომდეობის ამორჩევა სამღვდლოებისაგან უმეტეს ნა-წილს რუსეთის ეპარქიებში, არც მართლში და ქახეთში ჯერ არ არის შემოღებული. ამის შემდეგ კრებაში დაიწყეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ და რა შემწეობა აღმოუჩინონ სასწავლებელს. ილაპარაკეს თავის გაჭირებულ მდგომარეობაზე, მეთადრე ამ წელში გელ-ვის და ცუდი მოსავლის გამო; ბოლოს გარდა-სწყვიტეს: წარსულს წელში დადებულს ფუ-ლებზე მოუმატოთ 378 მანეთი, ე. ი. თითო მან თითოთაფლს ეკლესიაზე; ამას გარდა სემინარიის სამღვდლოებამ 5 მანეთის მაგი-რათ, რომელიც პირველ კრებაში დადდა, უნდა შემოიტანოს 100 მანეთი; 150 მანეთი, მეორე, პრეზიუმის სამღვდლოებამ უნდა შე-მოიტანოს — ასე რომ მომავლს 1870 წელში სასწავლებელს შემოუვა სამღ-ვდლოებისაგან 2600 მანეთზე მეტი. ამ კრებაშივე დასდეს, რომ იმ მოსწავლეებს, რომელნიც სამღვდლოს შეილები არ არიან, წელიწადში გარდახდესთ სწავლის ფული თე-ოლოგულს 5 მანეთი, ოთხი მანეთის მაგიერათ რომელიც წინა კრებაში იყო დადებული. მსთელი საჭიროდ აქ მოგხსენო, რომ რუსე-თში, ზოგიერთს სასულიერო სასწავლებლე-ბში ამ გვარ მოსწავლეებზე დადებულია სწა-ვლის ქირა 15 დგნ — 30 მანეთამდე; 10 მანეთზე ნაკლები კი არსად არის, მაშა სადა-მე, მდარებით რომ ესთქვათ, ხუთი მანეთი

სწავლის ფული აქაურ სასწავლებელსა მისი მიერია. ძნელი და სამწუხარო ის არის, რომ ბევრნი თანხა არიან მეტიც გარდახდნენ, ოღონდ კი მათი შეილები სასწავლებელში მიიღონ; მაგრამ სასწავლებელი დიდად შევი-წროებული შეიქნა მეტად ბევრი მოსწავლე-ებისაგან, ასე რომ იმაში არის ახლა 400 ყმა-წელი; ამის გამო მიღება ყმაწვილებისა, გარდა სამღვდლო საეკლესიო მოსამსახუ-რების შეილებისა, მოისპო დროებით.

დასასრულ ვისურვებთ, რომ იმერეთის სა-მღვდლოებამ როგორად და წარმატებით წა-იყვანოს საქმე, რომელზედაც დამოკიდებუ-ლია მათი შეილების განათლება და სევე; ვი-სურვებთ, რომ იმერეთში გახსნილიყოს რი-გიანი სემინარია და ეს სემინარია ღირსეულად ასრულდეს თავის დანიშნულებას.

შეთავის 1869 წ.

პოლიტიკა.
ახალი.


ლონდონი, 29 (17) სექტემბერი ს. მუშინ „სამეურნეო საზოგადოების“ სადილზე მატფორში უცხო ქვეყნების საქმეების მინი-სტრამა — მრავალმხრივად სთქვა: „ამ მო-კლე ხანს მეროპაში მოგზაურობის დროს, მე მქონდა ლაპარაკი ისეთ პირებთან, რომლებ-ბსაც აქეთ გავლენა მეროპის სეზე და სრუ-ლებით დაერწმუნდი, რომ 1866 წლის ომი-ანობის შემდეგ, ჯერ არ ყოფილა ისეთი იმედი მშვიდობისა, როგორც ახლა არის“ —

სრულიად უარსაია. იგივე დღე მისი „Daily News“-ის კორრესპონდენტი იწერე-ბა პარიკიდან, რომ უმთავრესი სახელმწიფო-ების მმართველობანი ბევრს ჰფიქრობენ იმა-ზე ვინცობა ნაპოლეონი მესამე რომ უც-რათ მოკლდესო; ამასთან ის ამბობს, რომ ბე-სტრიამ, პრუსიამ, რუსეთმა და ანგლიამ შე-ჰკრეს პირობა — თუ როგორ უნდა მოიქცენ ამ შემთხვევაში. უმთავრესი მათი მიზანი ის არის, რომ დაიციონ მშვიდობისა და ა-ცდინონ შრანციას რევოლუცია. ლორდ კლარენდონს ჰქონდა მინდობილი ამ გადა-წყვეტილების გარდაცემა ნაპოლეონისთვის; ნაპოლეონი არწმუნებდა იმას, რომ საზოგა-დო მშვიდობისა არ იქნება დარღვეული, რომ ომიანობის აცდენა იმაზე მომეტებულიათ არავის არა ჰსურს და სხ. —

პარიკი, 28 სექტემბერი ს. მმართვე-ლობამ დაუთმო საზოგადო აზრსა და ძანონ-მდებელი კორპუსის გახსნას ოკტომბრის და-მდევს თუ არა, ნოემბრის პირველ რიცხვებ-ში მინც აპირებს. —

ისპანიი.
მადრიდი 14 (26) სექტემბერი ს. ბარკლონში მოხდა ამ დღეს არსებობა, იმის გამო რომ მმართველობამ მოს-თხოვა ევოლანტერებს თოფ-არაღის ჩამოხ-და; ევოლანტერებმა უარი თქვეს და ქუჩებზე შეტყევა მოხდა; ჩხუბი გავრძელდა რამდენი-მე საათს; ბოლოს გამარჯვებულათ ევოლან-ტერები დარჩნენ. —

მადრიდი, 10 (22) სექტემბერი ს. სარაგოსაში დევ. მასტელარის მისილის დროს მოხდა რესპუბლიკური დემონსტრაცია. მას-ტელარმა, სალარმა და ლუი-ბლანმა თქვეს სიტყვებში, რომელშიაც ენერგიულათ ეწინა-აღმდეგობადნენ ისპანიის ტახტზე უცხო ქვე-ყნის ხელმწიფის დასმას. ხალხმა პასუხათ და-იწყა ყვირილი: „შაუმარჯოს რესპუბლიკას!“ საზოგადო მშვიდობა კი არ დაშლილა. — ტა-რაგონში მოახდინეს ამ გვარივე დემონსტრა-ცია გენერალი პიერალის იქ მისილის გამო; ყოველი მხრით ხალხი ჰყვიროდა: „შაუმარ-ჯოს რესპუბლიკას!“ მუბერნატორის სეკრე-ტარი, რომელიც მივიდა პიერალთან და უთხ-რა, რომ ის უკანონო საქმეებს ჩასდისო, რომ



მმართველობა ამას ვერ მოითმენსო, ხალხმა დაიჭრა და იქვე მოკლა და შექმნე და მახინჯებული იმის გვაძი ქუჩებზე ათრავს. — პიერადი დამალა, მაგრამ მმართველობამ გაცა ფიცხელი ბრძანება იმის მოძებნისა. რესპუბლიკური კლუბები და ხურეს და თავისუფალ ვოლანტერებს თოფი-რალი ჩამოხადეს.

— ზახ. „l'atrie“ სიტყვით, ბენუის გერცოგის ნ-თესავეებმა გამოაცხადეს, რომ ახალ-გაზრდა მერცხოვი მარტო მაშინ მიიღებს ისპანის გვირგვინს, თუ რაი მესამედი ძორტესების წევრებისა სთხოვს იმას.

— მადრიდი 30 სექტემბერს. ამბობენ, რომ 15 დეპუტატებისაგან უნდა შედგეს კამისია—ხელმწიფის ამორჩევის თაობაზე მოსალაპარაკებლათ.

იტალია.

რომი. „Gazetta de Popolo“-ში გეცნობებენ რომიდან, რომ პატრი მიატინტის მანფესტმა ძალიან იმოქმედა პიო IX-ზე; ახლა რომის კურია გაყოფილია ორ ნაწილათ: ერთი პაპს ურჩევს მსოფლიო კრების შეყენებას დროებით, მეორეს უნდა, რომ ახლავდნენ დანიშნინოს. პაპი ძლიან გაჯერებულია იგზუიტებზე; რომლებს რჩევითაც იმან მოინდომა მსოფლიო კრების შედგენა.

ტელეგრაფები

(თელის ში მიღებული)

მადრიდი ზოგიერთს ისპანის ადგილებში არეულობა მოხდა. ბევრი მავრები სამხედრო მდგომარეობაში ჩაადგეს. მანდგომილებმა ალაგ-ალაგ რკინის გზაზე მიმავალი მანქანა ჯარიანთ რელსებიდან გადაჰყარეს.

პარიზი, 3 ოქტომბერს. იმპერატორის დეკრეტით სენატისა და მანონდებელი ძორპუსის სესია გაიხსნება 29 ნოემბრისათვის. — 16 (28) სექტემბერს, ბენერალი ფლორი დანიშნა ელჩათ პეტერბურგის სასახლესთან ბარონ ტალიერანის მაგივრათ.

(პეტერბურგიდან 27 სექტ.)

ამ მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს ექვსი მილიონის ვერცხლის ფული და სამი მილიონის შავი ფული.

მამაზიაციონტის წინააღმდეგი პასუხი.

მღვდელმონაზონი ბიაციონტი ძალიან სახელოვანი მქადაგებელი აღმოჩნდა ჩვენს დროში. ის არის განწესებული პარიზის ლეთის მშობლის ტაძარზე (Notre-Dame de Paris); იმან დიდი სახელი მოიპოვა სამაგალითო მქვერ მეტყველობითა და მოსაწონარი აზრებითა, რომელიც ხშირად მოისმის ხოლმე სამლორთო კათედრაზე გადმომდგარის წმინდის მამისაგან. მამა ბიაციონტი არის ძორმელიტების მონასტერთა წინამძღვრათ. რომში თავიდანვე არ მოსწონდათ იმის აზრები, მაგრამ რადგან კათოლიკებში დიდი პატივისცემა ჰქონდა და სამწყსოც მომეტებული მოყვარული იყო იმისი, ამიტომ ვერას უბედავდნენ ბიაციონტსა. იმისმა თავისუფლათ ქადაგებამ ბოლოს მოთმინებდნენ გამოიყენა რომის პაპა და ძორმელიტების მონაზონთა მამათ მთავრის პირით აუწყა ბიაციონტსა, რომ ან სხვა ნაირათ იქადაგოს და ან თუ ამას არ იზამს, კათედრას თავი დაანებოსო. მამა ბიაციონტმა აი რა უპასუხა მონაზონების მამათ მთავრათ.

„ღირსო მამაო, ხუთის წლის განმავლობაში მე ვმსახურებამ ლეთის მშობლის ეკლესიასა შინა, ვიყავი მრადის დენაში და მტერნი ჩემნი თქვენს წინაშე არ აწყნარებდნენას ბოროტის ლაპარაკითა, მაგრამ ამან ვერ შესცვალა თქვენი კეთილი გული ჩემზე; ამჟამად თქვენ უეცრად ჩემზე გული ავიყრით და მამხილებთ იმას, რაზედაც წინათ

გამამხნევედით, მიცხავთ იმისათვის, რაც წინეთ ღირსი იყო თქვენი ყურადღებისა და მითვლით, რომ ან სულ დავიდუმო ენა და ან სხვა ენით ვილაპარაკო. მერცხ ერთსა და ვერც მეორეს ვერ მოახერხებს ჩემი სინისინდისი: მე არ შემოძლიან ლეთის მშობლის ტაძრისა კათედრაზე ცრუ სიტყვებით ვიქადაგო ვინა წინ, არ შემოძლიან წარმოვსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოვდებულა საუკეთესო აზრები. ძორგათ ვიცი, რომ თქვენი განრისხების მიზეზი საკუთრად თქვენ არა ბრძანდებით, არამედ ამის მიზეზი რომში მყოფი ძორიერი პარტია არის. ამ შემთხვევისა გამო მე უნდა გახუცხადო ჩემი მწუხრება ბნესა და ქვეანს არჩივისკოპოსსა; რომელმაც გზა გამიხსნა ამა კათედრაზე და კიდევ მამხნევედა კეთილის საქმისათვის, თუმცა მტერნი ჩემნი ჯავრით კბილებს აკრაუტუნდნენ. ამა ამბავს მითვლოვ ჩემთა მსმენელთა, რომელთა ყურის გდებით, თანაგრძობის გამოცხადებით და მეგობრობითაც შევიქვენ დაგულბული. მე მექმნებოდა დანაშაული ჩემს სამწყსოს წინაშე, მისკოპოსის წინაშე, თვით ლეთისა და საკუთრის სინდისის წინაშე, ვინცოდა რომ თქვენს ბრძანებას დემორჩალებოდი!

ამჟამად მე დაუტყვევებ მონასტერს, რომელშიაც აქამომდე ვიმყოფებოდი; და რომელიც თქვენი ბრძანების შემდეგ გახდა ჩემთვის სულიერ საპყრობილეთ. ამისთანა მოქმედებით მე არ ვწინააღმდეგები ჩემს აღთქმას: მე დაიფიცე მონაზონურს მორჩილებაზე, მაგრამ იმ პირობით რომ ესე მორჩილება არ იყოს ჩემი სინდისის წინააღმდეგი, არ ვწინააღმდეგებოდეს ჩემს საკუთარს ღირსებას და ჩემს ღვდელ-მონაზონობას. მე ამაზე დამიფიცინა უზენაესის კანონისა და სამეფო თავისუფლების მფარველობისქვეშ (royal liberte), რომელიც წმ. მოციქულის იაკობის სიტყვით არის კანონი თანაარსი ყოველთა ქრისტიანეთა თანა.

მე მოვედი ამა მონასტერში ამა წმინდა თავისუფლების გამოსახენათ საქმით. ათის წლის განმავლობაში სულ აღტაცებით ამას ვცდილობდი; არა ვითარი კაცობრიული ანგარიში ჩემში არა ყოფილა და არც არა ვითარი სიჭაბუქის ოცნება არა რეცია ჩემს განზრახვაში. ამდენი თავე ვანწირულების ჯილდოთ ჯაჭვით შეგბორკილებას მიქადებენ და ამისაგამო არამც თუ სამართალი, არამედ ჩემი მოვალეობაც იმას მოითხოვს, რომ მაგისთანა განკარგულებას ვეწინააღმდეგო.

„ის ჟამი სადღესასწაულო ჟამია. მკვლესია დიდს გჰკრებაში ჩაყარდა. ღღეს იმას ისეთი განსაცდელი ადგას, რომ ამისთანა მდგომარეობა ძნელათ შემთხვევია მთელს თავის ცხოვრებაში ამა სოფლად. სამი საუკუნის განმავლობაში ამ წელს პირველად მოხდა მსოფლიო კრება და წმინდა მამამაც თავის სიტყვებით და ამტკიცა, რომ მსოფლიო კრების შეყრა მიუცილებლათ საქირო გახდო.

„რაც უნდა უკანასკნელი მქადაგებელთაგანი იყო, ამისთანა დროში როგორ დადუმდება ისრე, როგორც დადუმდნენ იგი პირუტყენი მყეფარნი ისრაელთა, ორგულნი მცვედნი, რომელთაც ესრეთ ჰკაცხავს წინააწარმეტყველი: „ვერ ძალ ედვათ ყფვად. Canes muti non valentes latrare.

„წმინდანი არაოდეს არ დაიდუმებდნენ ენასა. მე წმინდანებში არ ურევივარ, მაგრამ იმათ ყრმათ ვრაც ჩემს თავსა—Fili sanctorum sumus—და ყოველთვის მზათ ვიყავ იმათ კვალს, გავყოლოდი დამეღერა ცრემლი და თუ საქირო იქნებოდა ჩემი სისხლიცა დამენთხია იქ, სადაც იმათი წვალების კვლია და ჩენილი.

„ამ სახით აღვაპლებ ხმას წმინდა მამისა და ძორების წინაშე, ვეწინააღმდეგები, ვითარცა ქრისტიანი და ღვთის მსახური იმა მცენ-

ბათა და მოქმედებათა, რომელნიცა იწოდებოდნენ რომაულად და არა ქრისტეს მცნებად. — მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ლათინურ ხალხებს შორის და განსაკუთრებით ფრანკიაში თუ რამე საზოგადო, ზნეობრივი და სარწმუნოებრივი უთავბოლოებაა, ამის მიზეზი უეჭველათ კათოლიკე სარწმუნოება კი არ არის, არამედ იმისი მრულდათ სმენა და ცხოვრებაში მრულდათ ხმარება.

„ხმასა ვწყობ მომავალ კრებასთან, რომელიც შეუდგება საშუალების მოპოვებასა ჩვენის ბოროტის მოსასპობელათ და ამა საშუალების მხნეთ და მშვიდათ ხმარებასა ჩვენის ცხოვრებისათვის...“

„ბოლოს აღვადგენ ხმას შენ სამჯავროსადმი, ჰოი, ღმერთო მაცხოვარო! შენს წინაშე ვსწერ ამა სტრიქონთა; შენს ჯვარცმის წინაშე დიდხნს ვილოცე, ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვიტანჯე, ვილოდინე და ბოლოს ხელი მოვაწერე ამა ეპისტოლეს. მრწამს, უკეთუ ამა სოფლად დასჯიან ამა სტრიქონთა, შენ, უფალო, მიწე განამართლებ მათ ცათა შინა. მე ამა სარწმუნოებით ვიცხოვრებ და თუ მოვედები თან წმყება ეს სარწმუნოება. „მა ბიაციონტი ფეხ-ტიტველა კარმელიტების წინამძღვარი პარიჟში, და პენიონის მახრის მკორე დეფინიტორი.“

—ამ მამა ბიაციონტის ეპისტოლემ ძალიან შესძრა კათოლიკები. იმის პატივის მცემელნი კეთილმსახური კათოლიკები სულ დაიბნენ და ერთმანეთს ჰკითხავდნენ—რომელია მართალი და რომელი მტყუანიო? რომი, თუ სხელოვანი მქადაგებელი? რა ექნათ, მივემხროთ თუ არა მამა ბიაციონტს? მაგრამ წინააღმდეგობა როგორ გაუწიოთ რომის პაპსა? პაპის ელჩი ამ დროს არ იყო პარიჟში; იმას მაშინვე შეატყობინეს ეს ამბავი და მან იმავე წამს მთელი ეპისტოლე სიტყვა-სიტყვით მისწერა პაპს ტელეგრაფითა.

უფ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის გვერდებზედ იბეჭდებიან ხშირათ ცნობები სხვა და სხვა ადგილებიდან. — მს საქმე მოსაწონია მით უფრო, რომ ამტყუნებს ძველებურს ანდახას: „მამის სულის დამეწყებელი, პაპის სულს იხსენებდაო“; ეს ანდახა მთლად და აუცილებლად გვეტყუნის ჩვენ ქართველებს. — მართლაც, საქირო არის, რომ ჩვენი მრავლ-ბუნებრივი საქართველო გავიცნოთ და ნაკვეც-ნაკვეცი მახრების, როგორც რიგანი; ისე ურიგო მხარეებიც შევიტყოთ! — თქვენმა გაზეთმა პირველმა მიქცია ამ საგანს ყურადღება, მაგრამ სურვილი კი ვერ უსრულდება, რადგანაც მისი კორესპონდენტები ნამდვილს და საქიროს საგანს არ აქტევენ ყურადღებას და ისეთს ამბებს გვიწერენ, რომლის უცოდნელობა არას დაგვაკლებს და ცოდნა არას შეგვძენს... აბა, შენი ქირომი, რა საქიროა ვიცოდეთ-წელს იმერეთში ბევრი ღვინო მოვიდა თუ არა? იმის მოსაგონს, რომ რამე გაველენა ჰქონდეს ან ეპრობაზედ, ან ხალხის კეთილ-დღეობაზედ, და ან სხვა რამ კეთილს და სასარგებლო საქვეყნო საქმეზედ, მაშინ კიდევ იტყვის კაცი, თორემ... იმერეთში ღვინო თუ მოუათ ბევრი, ბევრს დაღვევენ, არ მოუათ, წყალს ჩაყლაპვენ. ამით საზოგადო კეთილს საქმეს არც შესცია, არც შესცხება, სულ ერთია... მსა და ეს კაცი ამა და ამ კაცმა დაპატრება და ნასადილევს ცხენის ჯირითი გამართეს და ერთი კაციც ცხენიდან გადაეარდა და სხვანი. ამ გვარი კორესპონდენტები, ე. ი. ამათ მეტყველებები უმჯობესია რიგინს გაზეთში არ იბეჭდებოდნენ! *) მართალი

*) მასაკვირვლია, როგორ არ ესმის ავტორს ის ცხელი ქეშპირება, რომ კარგს ღვინის მოსაგონს დიდა გავლენა აქვს საზოგადო ხალხის კეთილდღეობაზედ, განსაკუთრებით ჩვენი. მართალია, ზოგნი იმისთანები არიან, რომელთაც თუ ბევრი აქვს, ბევრს

არის ორიოდენს შეხვედით ხეირონის კორესპონდენტისა; იმათ რიცხვში კორესპონდენტის რაქიდან. — უ. უხიმერიონელი გავწერდა ხალხის ჩვეულებას და შესანიშნავად აღიკვესა; მაგრამ ველარ მოათავა, რადგანაც რიშელიც მეთოდა დაიჭრა: „ღანაპირებს მალე ნუ მისცემ კაცსაო, თორემ, მიღებს თუ არა, დაიწყებდა და მიღებამდის კი, სანამ დაპირებას ხარ, მუდამ პატივის მცემელი იქნებო!“

უკაცრავად, უ. რედაქტორო, რომ ამ გეარის სტატოთ თავს გაწყენთ, მაგრამ მე ამჟამად და ამ გეარად ამაღაპარაკა „ღროების“ მე 39 №-ში დაბეჭდილმა კორესპონდენტისამ ახალციხიდან. ამ კორესპონდენტის შინაარსი სასარგებლო უნდა ყოფილიყო, რადგანაც გაკვირთ მაინც ენებოდა ერთის თათრის ქალის გაქრისტიანებას; ეს რა ესთქვი—გაქრისტიანებას თქო? უკაცრავად... გაქრისტიანებას კი არა, უფრო მართალი იქნება, რომ ესთქვა მოქრისტიანებას, რადგანაც ეს აქორლები და ახალციხის თათრები ადრევე ქრისტიანები იყენენ და მათი წინაპრები, მესხები ჩვენის სარწმუნოებისა და მამულის ერთგულებისათვის მუდამ დღე სისხლს ათხვედენ და დღეს კი მათი შეილის—შვილები გაგყრიან, ჩვენ ერთის სისხლთა და ერთის ხორციით თანამომევეს სარწმუნოებით; მაგრამ გულთ, ენით, სახით და ჩვეულებით დღესაც კი ქართველობენ. — მს ახალციხელი კორესპონდენტისა სხვათა შორის თავის პირველ მოვალეობასაც ვერ ასრულებს, რადგანაც სიმართლეს ვადამცდარა და მე, ვითარცა დამსწრე და ამ საქმის მკოდნე, ვაღიკვებულათ ვხდი ჩემს თავს. გაცნობოთ ყოველივე ნამდვილი.

ბ. ბეგის ქალის გაქრისტიანების სურვილის შესახებ.

— სოფელს თოკში ახალციხის უეზელში სახლობს ერთი ბეგი გეარად ბ—ძე; იმას ჰყავს ერთი ქალი 15 წლისა, რომელსაც შეუყვარდა ერთი უბრალო კაცის შვილი, ამავე სოფელში მცხოვრები ქართველი გეარად ლ—შვილი, მოზორებული ნათესავი ამ ბ. ბეგისა. მამამ რასაკვირველია თითქმის თავის მსახურს არ მისცა თავისი ქალი ცოლად და, რადგანაც ცხდათ აღარ მოხერხდა მათი ცოლქმრობა და სხვა და სხვა რჯულისაც იყენენ, გაიქცენენ; მაგრამ სამი დღის დამალვის შემდეგ იპოვნეს ორივე ქალ-ვაჟი ერთს გამოქვაბულს კლდეში მტრედებით ჩაბუდებულნი... ბ. ბეგმა ქალადი შეიტანა, რომ მე ლ—შვილზედ დავიდარაბაზედ ხელს ვიღებ, ოღონდ კი შეორეთ ნულარ გაბრიყვდება და ქალს ნუ გამოიბრიყვებსო. ამითი დასრულდა მათი ანბავი და არა ისე როგორც იწერება უფალი კორესპონდენტი. მრის თვის შემდეგ ერთი სომეხი მებაღენახეს წყალში ჩამოღრჩვალი ბ. ბეგის სახლიდამ თხუთმეტს ვერსზედ; მაშინ მოირაკლისეს ლ—შვილიც და, რომ აღარსად გამოჩნდა, ექვი აღეს ბ. ბეგზედ, რომ უთუოთ ის სომეხნი ამან დაადრჩობინა და ის ქართველიც მოაქვლეინაო, თორემ ბატომ აღარსად სჩანსო. — მამომძიებელმა დაატუსაღა ბ. ბეგი; საქმე კი ჯერ არ გათავებულა; მაშა სადამე კორესპონდენტის ცნობა, რომ ლ—შვილი დაჩეხეს და ხრამში ჩაჰყარესო, ოცნება არის და მას-

„ჩაყლაპვენ“; მაგრამ ავტორს უნდა მიეღო ყურადღებაში უმრავლესნი იმისთანები, რომელნიც მომეტებული კოქსი გაჰყდიან ხოლმე და ერთ-ორ ქალამანს გამოიკვლიან წელიწადში. ამ საგანზე ავტორს ურჩევია ხეირონათ მიუქტებას. კორესპონდენტები, რომელთაც კოფილიყვს აწერილი, რომ „ესა და ეს კაცი ამა და ამ კაცმა დაპატრება და ნასადილევს ცხენის ჯირითი გამართეს და ერთი კაციც ცხენიდან გადაეარდა და სხვანი“; ჩვენ არ გვახსოვს „ღრობაში“. ჩვენ გველონია, აქ ცოტა ავტორის ფანტაზიას წუთამაშებია და მჭევრმეტყველებისთვის ამბობს ამ სიტყვებს.

თანაც ძალიან თამამად და წინ დაუხედავო აღებს ბრალს ა. ბეგს კაცის სიკვდილში; ეჭვით როგორ იქნება ამ გვარად კაცის შეურაცხ-ყოფა და ისიც სახალხოდ ბეჭდვით. ბევრჯერ მოხდება ხოლმე, რომ ერთხელ აქვს ვეკი და მტყუანი კი მეორე გამოდგება; მაგალითად თვითონ იმავე „ღროების“ ნომერში არის დაბეჭდილი „წინის პროცესი“ და რას იტყვი?.. შესახებ ქალის გაქრისტიანების სურვილისა აი რას მოგახსენებთ: როდესაც გამოამედიებელმა ჩვენმა ჩამოართვა ქალს, ქალმა ეს სიტყვები უთხრა „ამ მკვლელობის თაობაზედ ყველაფერს გიამბობთ, მხოლოდ ამ პირობით, თუ ახალციხეს წამიყვანთ და იქ ლ—შვილს მოგვკრით და შემოთავთ მასთან კიდევ გაქრისტიანდებო.“ ძალი ამოიყვანეს ახალციხეს და მიაბარეს მისიონერს უ. ასათიანს, რომელთანაც დაჰყო ორი კვირა მეტი... ამ საქმემ მეტად შეცხრა ჩამოდენივე მარხა; ამასთანავე გამოჩნდნენ ისეთი საქმეები, რომელნიც არწმუნებდნენ თათრებს, რომ, თუ არ გადასახლდნენ სათათრეში, აქ ძალათ გაქრისტიანებას გიპირებდნენ სულ ყველასა და ამ სიტყვებმა ბევრი მართლა და ჩაფიქრა.—ჩამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ერთი პირთან ს—თან დაქრისტიანდა ა. ბეგის უნცროსი ძმა და მშვიდობის და წმინდა ქართულის ერთ დაუწყო იმ ქალის შესახებ შემდეგი საუბარი: (შომყავს მათი საუბარი სიტყვა სიტყვაზედ).

ბ.—მს რაღა უბედურება მოხდა ჩვენს თავზედ, რომ ჩემი ძმა დაიჭირეს და მისი ქალი კი მოიტაცეს და თქვენც წამოიყვანეს?..

ს.—თქვენი ძმა მისთვის დაიჭირეს, რომ კაცის კვლას ეწამებოდა...

ბ.—ძეთილი! მე თუგინა აგრე: ის კანონმა დაიჭირა, კანონივე გამოუშვებს, რომ გამართლდება, მაგრამ ქალი?.. ძალი ძალათ წამოიყვანეს.

ს.—არ ვიცი?

ბ.—შე დალოცვილო, აბა ვინღა უნდა იცოდეს, თუ თქვენც არ იცით?!

ს.—მე მე არ ვემეხება: ეგ სულის საქმეა. ანბობენ, რომ ქალს გაქრისტიანება უსურვებოდა.

ბ.—ძეთილი; მამ სუდს რა საქმე აქვს რჯულის მოძღვრებაზედ: მანა სისხლის სამართლის საქმეების გამოამედიებელი მისიონერიც არის? თუ ჩვენების ჩამოსართმევით ჩამოიყვანა ის ქალი აქ, აქამდე როგორ ვერ გაათავა ჩვენების ჩამორთმევა, თუ იმაზედ ეჭვი აქვს, რომ ის ქალიც ერიოს იმ ქართველის სიკვდილში, რატომ ცინეში არ დაიჭირეს? თორემ ეს რასა გავს, არც ერთია და არც მეორე; ქალი ბურთივით გადადის ერთის ხელიდან მეორესაში?... რა უნდა იმ ქალს მისიონერთან და რათ არ გამოუშვებდნენ შინ?..

ს.—მე როგორც გამოვიდა, გაქრისტიანება უნდა?

ბ.—მერე და ვინ უშლის? გაქრისტიანდეს!..

ს.—მინ დაუშლის, თუ არ თქვენ.

ბ.—ბატონო, მავას რასა ბრძანებთ: მე განა ვინა ვარ? ჩვენ განა ვინა ვართ!... ა—ძე გახლავარ, ქართველი! მინ იცის საქართველოს და მისის სარწმუნოების დაცვისათვის ჩამდენი სისხლი დაუთხევით ჩემს წინაპარებს.—მე ჩემს ქართველის გვარ-ტომობით უფრო ვამაყობ, ვიდრე სხვითი რამეთა.—ღღეს ბედით და ღვთის ნებით რჯული მეცვალო? ჰე რა გაეწყობა; დაბადებული ამ რჯულში, რიგია ამ რჯულშივე მოვკვდე, თორემ განა ქრისტიანობაზედ რა მაქვს სათქმელი? ის ჩემი პაპა, რომელმაც თავისის კაცობით და ჰკუთით დიდკაცობა იზოვნა და მერე მეც გადმოვიცა განა ქრისტიანი არ იყო? მაგრამ ვა? ნა-

თქვამია: „უბედოს ბედიც დაიწოას, როგორც ბედოა“ მადლობა ღმერთსა..

(ამ აზრისა არიან საზოგადო აქარლები და ახალციხის თათრები). ამის ამ გვარმა გრძნობამა ლაპარაკმა, როგორც ს. ისე მე თითქმის ცრემლები გვაყრევინა.—

ს.—მაშ რა გენაღვლებათ, რომ შენი ძმის წული გაქრისტიანდეს?—

ბ.—მის ენაღვლება, მაგრამ ამ გვარი საქმე სურვილით უნდა; დაესხათ ერთის მხრით თქვენი ღვანაზი, მეორეს მხრით ჩვენი მოლა და ისე ვკითხვით იმ ქალს და თუ ისურვებს ქრისტიანობას—კეთილი!—ჩვენც თანახმა ვიქნებით; ისევე მამა ვიქნებით მისი და ის ჩვენი შვილი.—მზითვეს მიესცემთ და ვინც უნდა ქართველი შეირთოს და უბრალოს, რომ ვერ მიესცეთ, რათ დაგეძრახებთ? მანა თქვენ მისცემთ ნებას თქვენს ქალს, რომ უბრალო, თქვენივე მსახური შეირთოს?—

ამ გვარის ბასით დასრულდა ის საღამო; იმავე საღამოს მისიონერმა გამოუგზავნა უფ. მმართველს კაცი ამ გვარი თხოვნით: „ქალი აღარ ღვება, ასე ამბობს: რადგანაც ის ქართველი, რომელიც მე მიყვარს, ვერ მომგვარეთ, აღარც მე გაქრისტიანდები და შინ გამიშვითო“. მეორე დღეს უფ. მმართველმა მიიღო გამოამედიებლის მოწერილობა, რომ ქალს აღარა ჰსურს გაქრისტიანება და დედასთან დაბრუნდო. —ამ გვართათ გათავდა ეს საქმე...

თ. ა. წერეთელი.

გიგლიოზარაზიული ნაწილი.

თ ვით მას წაველებელი ქართული ისა და რუსული ისა. შემოკლებული. შასი ორი შაური. ტფილისი, 1869.

გამოცდილია, რომ თითქმის ყოველ კარგს, სასარგებლო საქმეს ცუდი საქმეც თან მიადევს; აგრეთვე ზოგიერთ ცუდს საქმესაც ხშირად კარგი შედეგები აქვს. მინ იტყვის, მაგალითად, რომ წიგნის ბეჭედა საზოგადოთ უსარგებლო რამ იყოს; ვინ იტყვის, რომ იმას ათასი რამ კეთილი საქმე არ დაედგინოს ქვეყანაში? მაგრამ ვერც იმას იტყვის ვერავინ, რომ ბეჭედას ხანდისხან ენება არ მოეტანოს კაცებისათვის. წიგნის ბეჭედა რა არ ყოფილიყო მოგონილი, უიქველია, მაშინ არ გავრცელდება ქვეყანაში იმდენი უსარგებლო და მავნებელი წიგნები, რამდენიც ახლა არის; მაშინ არ გავრცელდებოდნენ ზნეობისა და ჰკუის გამრყენელი სხვა და სხვა რომანები, რომლებითაც სასევა უცხო ქვეყნების ლიტერატურანი; არ გავრცელდებოდნენ არც სხვა და სხვა სექციო წიგნები (ჩვენს „ძარბაღინსაით“), რომლებიც, ჯანმთელობის მოგვრის მაგიერათ, საფლავს უთხრიან იმას, ვინც ამ წიგნების დარიგებისა შებრ მოიქცევა და რომლების დანიშნულება ის არის, რომ ორიოდ გროში ამოაკალოს მკითხველს ჯიბიდან. რასაკვირველია ამ ნაირი წიგნების ენებას ამცირებს კარგი, აზრიანი და პატრიოტული მწერლების შრომა, მაგრამ „ამცირებს“ ხოლმე მართლ და მოსპობა კი ხშირად ვერ შეუძლია. იქნება მითხრათ, რომ „მავნებელი წიგნების ბეჭედაში ბეჭედას მოგონება კი არ არის და მნაშავე, და მნაშავე ისინი არიან, ვინც ამ გვარ წიგნებს სწერენ და ბეჭედავენ“. ამის პასუხათ მეორე მაგალითს მოგახსენებთ: აღებ-მიცემა, რასაკვირველია, ძალიან კარგი საქმეა; ის რა არ ყოფილიყო პურის პატრონს ტანისამოსი არ ექნებოდა, ტანისამოსის პატრონს პური, ღვინის პატრონს არ ექნებოდა ჩექმები, ჩექმებისას პერანგი და სხვ. მაგრამ აღებ-მიცემაში რომ ხშირათ გვატყუილებენ

და კარგი წაღების მაგიერათ, მაგალითათ, დამპლებს გვაძლევენ, ეს ხომ კარგი არ არის. ბეჭედას საქმეც ასეა: ის რა არ მოგონა ბუტემბერგს, ბევრი ენება ასცილდებოდა ქვეყანას, მაგრამ ამასთან ათასს ამდენს სარგებელსაც მოაკლდებოდა. ბეჭედა ამიტომ არის ძვირფასი შეძინება, რომ იმას საზოგადოთ უფრო მომავლული სარგებლობა და სიკეთე მოაქვს კაცობრიობისთვის, ვიდრე ენება. ღმერთმა დამიფაროს იმის თქმა, რომ ბეჭედა საზოგადოთ მავნებელია. მე მინდოდა მართლ მეტყვა, რომ ხშირათ ძვირელ სასარგებლოს და თვით კაცობრიობის წინ წამწევს რომელიმე მოგონებას მოაქვს უხეირო კაცების ხელში არა მცირედი ენება.—

მს აზრები მომივიდა მე თავში, როცა წავიკითხე უსახელო ავტორის გამოცემული „თ ვით მას წაველებელი“. სწორეთ ეტყვა ვერ გამოვიდა რისთვის და ვისთვის არის დაწერილი ეს წიგნი; მართალია სათაური გვიჩვენებს, რომ წიგნი არის „თ ვით მასწავლებელი რუსულისა და ქართულის ენისა“, მაგრამ, როგორ ვიფიქრო, რომ ავტორი იმდენათ გონიერი არ იყოს, ვერ მიხედეს, რომ 12 თაბახანი წიგნით, რომელშიაც ოთხმოციოდ ურახებია, არ შეიძლება ორი ენის დასწავლა. ავტორი რომ ცოტა გახვლიცი და ენახა სხვა ენებზე შედგენილი „თ ვით მასწავლებელი“, იმედია, ამისთანა წიგნს არ დაანახებდა ქვეყანას; აგრეთვე არც ანბანს შეადგენდა ისე, როგორც ძველს დროში ადგენდნენ ხოლმე, ორი სამი ახალი ანბანი (თუ გინდ ქართულს ენაზე), რომ წავიკითხა და იმათი მეოთხე მივიღო მხედველობაში.—ავტორმა უნდა იცოდეს, რომ „თ ვით მასწავლებელი“ საზოგადოთ იწვებიან დიდებისთვის და არა პატარაებისთვის; ამ პატარა წიგნის ავტორს, როგორც ურახებდნა სხანს, უსწავილები ჰყოლია სახეში. (მათგონია ვისმე, ერთი მითხარით, რომ უსწავილს, თავისით, უმასწავლებლოთ უცხო ენა დაესწავლოს? ჰერ დიდებიც ძლივ სწავლობენ უცხო ენებს კარგათ შედგენილი „თ ვით მასწავლებლის“ შემწეობით, თორემ უსწავილს როგორ მოსთხოვს ამას კაცი. ჩვენ ავტორს კი ჰსურს, როგორც სხანს, 12 თაბახანი უხეიროთ შედგენილი წიგნით ასწავლოს უსწავილებს ორი ისე ძნელი ენა, როგორც ქართული და რუსული!... მაშ, ხელახლათ ვკითხულობ, რისთვის და ვისთვის არის ეს წიგნი დაწერილი? დასასრულ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვინატროთ, რომ ამისთანა წიგნებისთვის არც დრო იკარგებოდეს და არც ფულები.—

სხვა და სხვა ამბავი.

სექტემბრის 10 ვარდაიცვალა ვარშავეში ჰელენოზარა ზამენსკისა რომელმაც თითქმის მთელი თავის სიცოცხლე ფილოსოფიის სწავლას შესწირა. თავის თხზულებებში ფილოსოფიას ათანამებდა სარწმუნოებასთან; იმან კარგი იცოდა ნემეცური შილოსოფია. 1842-ში გამოვიდა იმის პირველი თხზულება „აზრები ქალების აღზდაზე“. ფილოსოფიურ თხზულებების გარდა, ის იღებდა მონაწილეობას სახალხო ლიტერატურაში; გამოსცა წიგნი სახელად „სახალხო მოთხრობანი“. მს წინაგვიმეტყველებ რომ ფილოსოფიურ განხილვა არ დაუშლია, ამ ქალისათვის, რომ ედევნა გულისყური ხალხის ახლანდელი საქირობისათვისაც.

ვაშეთს „Vanderer-ში არის დაბეჭდილი ერთი ნაწყვეტი განსვენებული ნემეცის ლიტერატორისა და სწავლულის ბრაუნ-ჰონ ბრაუნ-ტალისიმ თხულებიდან, რომელსაც სახელი

აქვს „როგორ უნდა იცხოვროს ქალი“ ცხადია, რომ სიბერეში დასრულებულია სიბნევე. შუ. ბრაუნის დიდხანს გაძლებს მსურველს ურჩევს: „რაც კი შეიძლება ცოტა ქაიოს“, სიფიქსიში იმყოფებოდეს და ღამით საკმაოთ დაისვენოს. ბევრი უნდა იმუშაოს, მხოლოდ მაშინ კი როგორც ბეტე ამბობს, როდესაც გული მისწევდეს საქმეზე „კი დროს“, ამიტომ რომ თუ ცუდ დროს დაისვენა მაშინ, კარგ დროს ერთი ორათ იმუშავეს. სიკვდილის დღისა თავის დღეში არ უნდა ეშინოდეს: ვისაც ამ აზრისა არ ეშინიან, ის უკეთ ცხოვრებს. ბევრი ცივი წყალი უნდა სება, მხოლოდ სადილზე კი არა, რადგანაც ამ დროს შეიძლება კუჭი გაუტყვიდეს და მოწივება დაუშალოს. პივა არას დროს არ უნდა დალიოს (და განსაკუთრებით სადილზე. ცოტა ყავის სმა სასარგებლოა, მაგრამ შვი იყოს და არც ისე ტკბილი. ტანთ უნდა ხალვათათა და მსუბუქათ ჩაიცვას. შეხით ბევრი ისე ირწონს და ფაეტონით სიარულით კი შორს ვერ გასტანს. ბევრი იცინოდა და თუ არაფერია საცინარი, თავის თავზე არ გაჯავრდეს და არ იჯავროს; თავის თავზე კი უნდა გაჯავრდეს, რომ როგორ გამოჯავრა რამემაო. რასწამს შევიდეს ჰასაქში, მაშინვე უნდა დაქრწიოდეს და გათხოვდეს. რომ დაქრვიდეს ითხოვოს ცოლი და გათხოვდეს მეორეთ, მესამეთ და სხ. ვიდრე მოთხოვნილებას გრძნობ: დასასრული უცოლშვილო ბებრებისა ყოველთვის ძალიან ცუდი არის დიდი ხნის შესვენებას არ უნდა მიეცეს კაცი, ამიტომ რომ ამ გვარ შესვენებას ყოველთვის მოსდევს სასიკვდილოთ განსვენება. ნაღველს კაცი არ უნდა მიეცეს და უნდა ცდილობდეს, რომ მხიარულათ იყოს. ის კაცები, რომლებსაც პოეტური აზრები არ ანებებენ თავს, როგორც ბეტე, ტორნვალდსენი, ტაციანი და ძალდერონი, და სხვა მრავალი, ყოველთვის ღრმა სიბერეში სიცოცხლებენ. ზნეობითი ღონე ბევრს ხანსა სძლებს თუ ესტეტური აზრები კაცს უნათლებს გულს. აზრის თავისუფლება უთუოთ საქირო არის. ქველა უნდა უყვარდეს, მაგრამ გონიერულათ; არაფრისა არ უნდა ეშინოდეს და არც არა აღტაცებაში უნდა მოიყვანოს რამემ, ბუნების მეტა.—

ამ ცოტა ხანში გამოსცადეს ინჟინერის პრემიანსკან ვაკეთებული მაშინა, რომელიც ორთქლით დადის მენის ქალაქის ქუჩებში. მაყურებელ ინჟინერებს ყველას მოეწონათ. ამ მაშინას ძალიან ჩქარი ტარება აქვს; განსაკუთრებით ყველას აკვირებდა მემამინეს ხერხიანობა, ლოკომოტივზე, ანუ თვით მატარებელზე, მიბმული იყო საქონლით საცხე ვაგონი და პასაჟირების ანუ მგზავრების ჩასახლამი ვაგონი, რომელიც ძალიან ღამაზათ არის მოართული; მგზავრების სამყოფელი შიგნით ორათ არის გაყოფილი და გარეთ ერთათ. ამ ვაგონში ეტევა ორმოცი კაცი.

განცხადებაები.

გამოვიდა და ისე იდება მელიქიშვილის სტამბაში და ალადათოვის წიგნის მაღაზიაში

ქაბა აწონა.
ძომედი
ორ მოქმედებათ
დ. მელიქიშვილისა.
ფასი ერთი შაური

ახალგაზრდა ქალს,
რომელსაც სწავლის დიპლომ და ოქროს მედლი აქვს; მსურს აძლიოს უროკები: ფრანკო-რუსულის ენებისა და მუშიკისა.—აღრესი იკითხეთ „ღროების“ რედაქციაში, ხანს ქუჩაზე, ბუბუთოვის სახლებში.